სოფიო დემეტრაშვილი

ადამიანის უფლებების მოცულობა და ხვედრითი წილი საქართველოს კონსტიტუციაში: საკონსტიტუციო გემოვნება და არქიტექტონიკა

შესავალი

ადამიანის უფლებებმა, მისი მასშტაბების და გარანტიების გაფართოვებამ, როგორც შეუქცევადმა პროცესმა, თანდათანობით თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია მოიცვა და კონსტიტუციის არსებითი შემადგენელი ელემენტი გახდა.[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტი ერთ-ერთი პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე. უკვე მაშინ აღიარებდა იგი ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა.[2] აღსაღნიშნავია ადამიანის თავისუფლებისა და ავტონომიის აღიარება, ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური, ეკონომიკური, საოჯახო თანასწორობისა და სამოქალაქო უფლებების აღიარება, სიკვდილით დასჯის გაუქმება, რომელიც იმ პერიოდში არსებითად ლიბერალურ აქტად მიიჩნეოდა.[3] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია კვლავაც ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი ტრადიციების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია.[4] დღეს მოქმედი, 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაც სწორედ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ ტრადიცი-

---

[1] გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 5.

[2] დემეტრაშვილი ა., კონსტიტუციონალიზმის პარადიგმები საქართველოში, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N3, 2010, 107.

[3] ცანავა ლ., სოციალურ-ეკონომიკური უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, დ. გეგენავას და პ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 78.

[4] შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 59.

ებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას ეყრდნობა. კონსტიტუციური ჩანაწერით, რომელიც ადგენს, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“,[5] ადამიანის ძირითადი უფლებები გაცხადებულია ბუნებით უფლებებად, რომლებიც მინიჭებული კი არ არის ადამიანისთვის კონსტიტუციით, არამედ მხოლოდ ცნობილი და აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. ხალხი და სახელმწიფო კი შეზღუდულნი არიან ადამიანის ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[6] უშალოდ მოქმედი სამართალი გულისხმობს ინდივიდის სრულფასოვან შესაძლებლობას, სასამართლო წესით დაიცვას მისი კონსტიტუციური უფლებები.[7]

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (აღდგენიდან) მრავალი ნაბიჯი გადადგა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, თუმცა აშკარაა, რომ მდგომარეობა შორს არის სრულყოფილებისაგან. მით უფრო ბოლო პერიოდის განმავლობაშიც საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდა ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთი საკითხი, როგორებიცაა: წამება და არაადამიანური მოპყრობა, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, პირადი ცხოვრება, რელიგიის თავისუფლება. უდავოა, სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს ადამიანის უფლებათა მაღალი ხარისხით დაცვის უზრუნველყოფაში. ამასთანავე, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა, რომ დაამკვიდროს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა კულტურა არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, არამედ ფართო საზოგადოებაში. ამის გარეშე ყველაზე ეფექტიანი სამართლებრივი მოდელი ან მექანიზმი უძლური იქნება, რომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა. თანამედროვე დემოკრატიულ მმართველობაში ადამიანის უფლებათა დაცვასა და პატივისცემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ფაქტობრივად, სამარ-

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4, პუნქტი 2.
[6] კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, 2019, 49.
[7] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 45.

თლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პრიორიტეტად განსაზღვრის გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიაზე მსჯელობა. საქართველოსათვის, როგორც განვითარების ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, არსებითია დემოკრატიის მაღალი ხარისხის მუდმივად შენარჩუნება, რომლის საფუძველიც იქნება ადამიანის უფლებათა უზენაეს ღირებულებად განხილვა და ძირითადი ფასეულობების დაცვა.

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, გაატაროს ქმედითი საკანონმდებლო თუ სხვა ღონისძიებები ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ვალდებულებები მაშინაც წარმოიშობა, როდესაც საქმე შეეხება ადამიანის დაცვას თვით საკუთარი თავისგან მომდინარე საფრთხისაგანაც, მაგრამ ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა ფარგლები შეზღუდულია. სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ადამიანის ავტონომიურობას, მის ნებაყოფლობით არჩევანს, მისი ცხოვრების წესს და არ ჩაერიოს მასში, თუკი იმავდროულად არ არსებობს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების თუ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების რეალური ხელყოფის რისკი. მით უფრო გაუმართლებელი და ექსცესიური შეიძლება იყოს ჩარევა, როდესაც საქმე შეეხება საკუთარი თავისათვის ზიანის მიმყენებელი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებას.[8] კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, გარკვეულ ღირებულებებს ეფუძნება. ღირებულებები წარმოადგენს შეხედულებებს, რომელთა თანახმად, რაღაც ფასდება როგორც კარგი ან ღირებული.[9] საქართველოს კონსტიტუციამ მთავარ ღირებულებად ადამიანი, მისი ღირსება და თავისუფლება აღიარა და მას წარუვალი და უზენაესი მნიშვნელობა მიანიჭა. კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების მთავარი ღირებულებითი

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.

[9] Kraft V., Die Grundlagen einer wissenschaftlichen Wertlehre, 2. Aufl., 1951, 10.

საფუძველი ადამიანია და აღნიშნული უფლებების განმარტებისა და შეფარდების პროცესში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ზოგადად, სამართალი და, კონკრეტულად, კონსტიტუცია, შეფასებებზეა დამყარებული, შეფასებები კი გარკვეული ღირებულებებით ხორციელდება.[10]

როგორც დოქტრინაში და სასწავლო ლიტერატურაში[11], ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ვენეციის კომისიის მიერ აღინიშნება, რომ კონსტიტუციის მეორე თავი („ადამიანის ძირითადი უფლებები") მთლიანობაში შეესაბამება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო აქტების პრინციპულ მოთხოვნებს. ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციის დანარჩენი ტექსტი ხშირად ხდებოდა გადასინჯვის (ზოგჯერ არსებითი) საგანი, ხოლო ამ თავის ძიორითადი ნორმები თითქმის არ გადასინჯულა.

თანამედროვე თვალსაზრისით, ძირითადმა უფლებებმა ცალკეული პიროვნება უნდა დაიცვას არა მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლებისაგან, არამედ უმცირესობას უნდა მიანიჭოს უმრავლესობისაგან დაცვაც. ხოლო, იქ სადაც უზრუნველყოფილი არ არის ადამიანის უფლებები და არ არის ხელისუფლების დანაწილება, საზოგადოებას არ გააჩნია კონსტიტუცია".[12] სახელმწიფო თავის საწყისს იღებს ადამიანში და თავის ძალაუფლებრივ გამართებას პოულობს იმ ზომით, რა ზომითაც აკმაყოფილებს მათ ინტერესებს.[13]

ფაქტობრივად, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა პრიორიტეტად განსაზღვრის გარეშე წარმოუდგენელია

---

[10] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, 2013, 6.

[11] იხ., მაგალითად, გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014.

[12] საფრანგეთის 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია".

[13] დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, 2020, 67.

დემოკრატიაზე მსჯელობა. საქართველოსათვის, როგორც განვითარების ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, არსებითია დემოკრატიის მაღალი ხარისხის მუდმივად შენარჩუნება, რომლის საფუძველიც იქნება ადამიანის უფლებათა უზენაეს ღირებულებად განხილვა და ძირითადი ფასეულობების დაცვა.

არგენტინელი იურისტი ლინარეს კონტანა თვლის, რომ კონსტიტუციური სამართლის მიზანია ინდივიდის თავისუფლება და ღირსება, რომლებიც უზრუნველყოფილია სამართლის მეშვეობით სახელმწიფოს ბოჭვით.[14]

საქართველოს კონსტიტუციის კომპოზიცია და არქიტექტონიკა

კონსტიტუციური რეგულირების ობიექტების საკითხთან დაკავშირებულია კონსტიტუციის სტრუქტურის, ანუ კონსტიტუციის შინაგანი აგებულების, კომპოზიციის საკითხი. როგორც წესი, კონსტიტუცია სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი წოდებული როგორც „პრეამბულა“, რომელშიც მოცემულია კონსტიტუციის მიღების მიზნები და დეკლარაციული ხასიათის პრინციპები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკის საფუძვლებსა და მიზნებს შეეხება. კონსტიტუციის ამ ნაწილს რა თქმა უნდა ნორმატიული ხასიათი არ გააჩნია, შესაბამისად, ისინი იურიდიულ ძალას მოკლებულია. კონსტიტუციის ძირითადი დებულებები თავმოყრილია მის ძირითად ნაწილში, სადაც მამა-დამფუძნებლები კონსტიტუციური ნორმების უმრავლესობას უყრიან თავს. თითქმის ყველა კონსტიტუციაში არის მესამე ნაწილი, რომელიც გარდამავალ, დროებით და დასკვნით დებულებებს შეიცავს, სადაც რეგლამენტირებულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა კონსტიტუციის ძალაში შესვლის საკითხი და სხვ.

საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელ სტრუქტურას საყოველთაოდ მიღებული კომპოზიცია ჰქონდა. იგი მოკლე პრეამბულის, ძირითადი ნაწილისა და გარდამავალი დებულებებისაგან შედგებოდა. როგორც ნაწარმოები მარტივად საკითხავი იყო, თუმ-

[14] იხ., Конституционное Право Развивающихся Стран, Москва 1987, 15.

ცა იმთავითვე იყო გათვალისწინებული ისეთი ნორმა-პრინციპები, რომლებიც პრაქტიკაში აღსრულებას ვერ ჰპოულობდნენ.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირვანდელისგან. კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქცია შედგება პრეამბულისგან, 11 თავისგან და 78 მუხლისგან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, კერძოდ, ზოგიერთი მუხლი გაერთიანდა, მაინც მიმაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ასახულია ისეთი ნორმები, რომელიც სრულიად ზედმეტია კონსტიტუციის არქიტექტონიკისთვის, თუმცა ეს უკანასკნელიც რა თქმა უნდა საკონსტიტუციო გემოვნების საკითხია.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კონსტიტუციას თავისუფლების ანატომიის გზამკვლევის ფუნქცია აქვს. კონსტიტუციის ღირებულება მისი მიზნის რეალიზაციის უნარიანობაშია. ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის არსებითი შემადგენელი ნაწილია. კონსტიტუციის ფუნდამენტური ნორმები და პრინციპები მის მეორე ნაწილში, ძირითად დებულებებშია თავმოყრილი. ანიჭებენ რა სახელმწიფო მექანიზმს უდიდეს მნიშვნელობას, როგორც რეალური პოლიტიკის გატარების ძირითად მექანიზმს, დამფუძნებლები აქ დებენ მათთვის სასურველ რეგულაციებს. კონსტიტუციაში ასახული თითოეული ნორმა უნდა იყოს იმგვარად ფორმულირებული, რომ პირმა ნათლად გაიგოს მისი შინაარსი. საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული ნორმების უმეტესობა, რომლებიც ადამიანის უფლებებს შეეხება, მეტად კონკრეტიზებულია. ასევე, გათვალისწინებულია ისეთი ნორმები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის ხელოვნურ გადატვირთვასაც იწვევს. პირველი კონსტიტუციების დამფუძნებელი მამები თითქოსდა ისწრაფვოდნენ იმისკენ, რომ ნაპოლეონის ერთ-ერთი ცნობილი გამოთქმის შესაბამისად, კონსტიტუცია – მოკლე და ბუნდოვანი ყოფილიყო. ივარაუდება, რომ იმდროინდელი კონსტიტუციები სწორედ ამ სა-

ფუძვლით არიან მარტივი სტრუქტურის და მცირე მოცულობის მქონე.[15]

ძირითადი უფლებების მოცულობა და ფარგლები

ძირითად უფლებებს კონსტიტუციის მეორე თავი ეთმობა, რომელიც 27 მუხლისგან შედგება. ამასთან, მეორე თავში მოცემული უფლებების რიგითობა მათ იერარქიას არ გულისხმობს. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ ადამიანის უფლებების თავმა, როგორც სტრუქტურულ-გრამატიკული, ისე შინაარსობრივ-მატერიალური ცვლილებები განიცადა.[16] საგულდაგულოდ შერჩეული ფრაზებისა და ფორმალურ-იურიდიულად გამართული დებულებების რუდუნებით აგებული კონსტრუქცია ფუჭი სიტყვების კორიანტელად გადაიქცევა, თუ მას არ შესწევს ძალა, უნარი, გააფერმკრთალოს ხელისუფლებათა ამპარტავნება, დააბალანსოს ძალაუფლება, აღკვეთოს თვითნებობა და ამ გზით უზრუნველყოს ადამიანის თავისუფლება. სწორედ ამიტომ, საბაზისო მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციით ფუნდამენტური უფლებების ადეკვატურ რეგლამენტირებას და მათი დაცვის სათანადო, განჭვრეტადი, საკმარისი გარანტიების შექმნას. ამასთან, მხოლოდ, ძირითადი უფლებებით სრულყოფილად საგებლობის შესაძლებლობა წარმოადგენს გზას პერსონალური თავისუფლებისკენ. ეს კი, რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირფასია, რაც თითოეულ ჩვენთაგანს გააჩნია.[17]

თავად კონსტიტუცია გამორიცხავს ამა თუ იმ უფლების ერთმანეთში აღრევას და კონსტიტუციის არქიტექტურის ფარგლებში მათ დამოუკიდებელ მნიშვნელობას და შინაარსს სძენს. ამასთან, ყოველმა ნორმამ რეალური, ადეკვატური აღსრულება უნდა ჰპო-

---

[15] მაგ., ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც სულ რაღაც შვიდი მუხლისგან შედგება. ასევე, ნორვეგიის კონსტიტუცია, საფრანგეთის კონსტიტუცია და სხვ.

[16] შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 63.

[17] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 7.

ვოს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კონსტიტუციური არქიტექტონიკა დღესაც საკმაოდ ლოგიკურად გამოიყურება, თუმცა მასში მაინც ვხვდებით ე.წ. „ნორმა სადღეგრძელოებს“. ვინაიდან, ნორმატიულ აქტებში წინასწარ ფორმულირებული ცალკეული ელემენტები ყოველდღიურ ცხოვრებაში უკავშირდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან ერთ მთლიან სისტემას, უდავოა, რომ არ არსებობს ნორმის ამომწურავი ფორმულირება, რადგან თავად ნორმა ვერ მოიცავს ყველაფერს და შესაბამისად, ყველაფერი კანონმდებლობით ვერ იქნება გათვალისწინებული ყველა უფლება და არც უნდა იყოს, ვინაიდან სასამართლოს უნდა ჰქონდეს თავისუფალი მიხედულების ფარგლები, რომ თავად შეძლოს ნორმის ინტერპრეტაცია და შედეგად გამოიტანოს რელევანტური გადაწყვეტილება. სწორედ საერთო სასამართლოების პრაქტიკა ქმნის პრეცედენტებს, შედეგად ავითარებს და ავსებს ეროვნულ კანონმდებლობას. ხოლო, კონსტიტუციის განსხვავებული ნორმებით დაცული უფლებების ფარგლების ხელოვნური გაფართოება, უფლებებს შორის კონსტიტუციით გავლებული ზღვრის წაშლა, ვერც უფლების დაცვას მოემსახურება და ვერც კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს უზრუნველყოფს.[18]

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაამისად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.“[19] ძირითადი უფლებების ფუნქციები გამოხატავს ადამიანის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებას, იგი განსაზღვრავს მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობების სამართლებრივ შედეგებს. ამავე პუნქტის შესაბამისად, „კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს

[18] 2007 წლის 27 ივნისის კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზვიად გოგიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[19] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4, პუნქტი 2.

კონსტიტუციის პრინციპებიდან“.[20] აღნიშნული ნორმა ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციაში იყო გაცხადებული, რომელიც სათავეს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-9 შესწორებიდან იღებს სათავეს.[21] თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლე გოლდბერგის მიერ შთაბერილი სული „სხვა უფლებები“-ს განმარტების ნაწილში, ბევრ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებშიც გაგრძელდა.[22]

ძირითადი უფლებების ფუნქციების უკეთ გაგებას მათი სუბიექტური და ობიექტური მნიშვნელობების გამიჯვნა უდევს საფუძვლად. ძირითადი უფლებების სუბიექტური მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ ის ინდივიდის უფლებებია და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას აწესრიგებს. ძირითადი უფლებების ობიექტური მნიშვნელობა კი ისაა, რომ ის ინდივიდისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს მოქალაქეების მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად ქმედებებს.

ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორც კონსტიტუციის ფუნდამენტურ დებულებებს, ობიექტური პრინციპების მნიშვნელობა აქვს, რადგან სამართლის ყველა სფეროზე ახდენენ გავლენას, ამასთან, ხელისუფლების თითოეული შტოს საქმიანობისთვის ძირითად მიმართულებებს აყალიბებს. ძირითადი უფლებების, როგორც ობიექტური ღირებულებების პრინციპების დანიშნულებაა გარკვეული მიმართულებები მისცეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, რაც გულისხმობს, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის კანონების განმარტებას და შეფარდებას ძირითადი უფლებების შესაბამისად, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის არაკონსტიტუციური ნორმების გამოცემის აკრძალვას. ობიექტურ პრინციპთანაა

---

[20] იქვე.

[21] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, , 2017, 143.

[22] იქვე.

კავშირში აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების დასაცავად კონკრეტული ვალდებულებების აღიარებაც მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელთ შეიძლება საფრთხე შეექმნას მესამე პირთაგან ან თავად უფლების სუბიექტისაგან.

ძირითადი უფლებები, ობიექტური პრინციპის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამართლის ყველა სფეროზე ახდენენ გავლენას. მათი მთავარი დანიშნულებაა გარკვეული მიმართულებები მისცეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ძირითადი უფლებების ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს მათი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე ირიბი მოქმედებაც. საინტერესოა ობიექტური უფლებების გარეშე რა სახის კონსტიტუციას მივიღებთ? ან საერთოდ რა საჭიროა ყველა უფლების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირება? გამომდინარეობენ თუ არა ისინი ერთმანეთისაგან?

სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ადგენს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს, ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია.[23] ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის პრინციპის, როგორც

[23] <https://jelec.iliauni.edu.ge/mukhli-17/> [12.08.2021]

პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალების, საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტობრივად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას.[24] პატივი და ღირსება ადამიანის სოციალური იდენტობის არსებითი ატრიბუტებია, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მორალურ მდგომარეობას საზოგადოებაში. აღნიშნული უფლება ბუნებით უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს ღირსების უფლება აქვს იმიტომ, რომ იგი ადამიანია."[25] ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით.[26] ამასთან, დემოკრატიის იდეა თავისუფალ და, შედეგად, ღირსებადაცულ ადამიანს, საზოგადოებას ეფუძნება და ემსახურება.[27] საზოგადოების განვითარების პარალელურად ადამიანის პატივსა და ღირსებას უზენაესი ღირებულება ენიჭება, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რასაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიიჩნევს, რომ ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობით.

ადამიანის უფლებებს შორის, ასევე არსებითად მნიშვნელოვანია ადგილი უკავია „განუყოფელ უფლებებს". განუყოფლობაში მოიაზრება, რომ ეს უფლებები განიხილება თავდაყოლილ უფლე-

---

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II, 6.

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე, „ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 2.

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 3.

[27] იხ., იქვე.

ბებად, რომლებიც ადამიანს თავისთავად უკავშირდება. შესაბამისად, ადამიანური ღირსება არის საფუძველი, რომლიდანაც, ვითარდება ადამიანის უფლებები.[28]

უფლების აღიარებისათვის არ არის აუცილებელი მისი რომელიმე კონსტიტუციურ ნორმაში მოქცევა. მთავარია ეს უფლება კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობდეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ნორმა კონსტიტუციური პრინციპების საფუძველზე ძირითადი უფლებების შემოქმედებითად განვითარების საშუალებას იძლევა. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში, ისევე როგორც მის მომდევნო სახეცვლილ ტექსტებში, 2016-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმამდე, აღნიშნულ ნორმას ეკავა ადგილი მეორე თავის 39-ე მუხლში, რომელიც შემთხვევითობითაც სრულიადაც არ იყო გამოწვეული, არამედ, პირდაპირ უკავშირდებოდა უფლების დაცვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მატერიალური და პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფას.[29] აღნიშნულ ნორმსთან მიმართებით ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო განმარტებები აქვს გაკეთებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მისი პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის ყოფილ 39-ე და დღევანდელ მე-4 მუხლში მოიაზრება ყველა ის უფლება, რომელიც „მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან, რაც მათ კონსტიტუციურ გადაწყვეტად, ერთგვარ მოწესრიგებად მიიჩნევა“. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლი, კონსტიტუციის პირველ თავშია მოქცეული, მოსარჩელე მხარე ვერ მიმაართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ვინაი-

---

[28] ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქოსქამართლებრივი ცნების მოცულობა, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2014, 13.

[29] გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, 2017, 145.

დან, კვლავ რჩება ერთგვარი დანაწესი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ კონსტიტუციის მეპრე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. ამასთან, მსოფლიოში ვერ მოიძებნება ორი იდენტური კონსტიტუცია, ისევე, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებები ამოუწურავი კატეგორიაა და შეუძლებელია რომელიმე კონსტიტუციას უფლებათა დეტალიზება ან სრულყოფილად განსაზღვრება ჰქონდეს. შესაბამისად, ნორმის ტრანსფორმაციით მცირდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მატერიალური და საპროცესო გარანტიები.[30]

ინდივიდი იმდენი უფლების მატარებელი შეიძლება იყოს, რამდენის შესაძლებობასაც იძლევა უფლების არსი. შესაბამისად, უფლების არსი დამოკიდებულია სუბიექტის არსზე. ძირითადი უფლებები ადამიანის არსებობასთან არის დაკავშირებული. ხოლო, სიცოცხლის უფლების დაცვა ყოველი სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას და სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს, რადგან სიცოცხლე ადამიანის ყველაზე ღირებული სიკეთეა, რომელიც განაპირობებს მის ბიოლოგიურ არსებობას და რომლის გარეშე სხვა უფლებებით სარგებლობა წარმოუდგენელი იქნება. ამასთან, სიცოცხლის უფლება დამცავი უფლებაა. აქედან გამომდინარე, სიცოცხლის უფლება ყველა სხვა უფლების ლოგიკური წინაპირობაა და მისი დაცვის ფასეულობა უაღრესად დიდია. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული უფლება იცავს ადამიანის სიცოცხლეს. აღნიშნული უფლება უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას ან/და ისეთი მოქმედების განხორციელებას, რასაც აშკარად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება. შედეგად, სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას – არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე და ამასთანავე პოზიტიურ ვალდებულებას – იზრუნოს სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად და დაიცვას იგი სხვათა მხრიდან ხელყოფისაგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს ანიჭებს არა

[30] იქვე, 148.

მარტო ნეგატიურ ვალდებულებებს – სიცოცხლის უფლების საფრთხის შემცველი ქმედებების კრიმინალიზაციის სახით, არამედ პოზიტიურ ვალდებულებებსაც – ჰქონდეს გამართული, მოქმედი სამართლებრივი სისტემა და სამართლებრივი სისტემით განსაზღვრული წესრიგის განხორციელების შესაძლებლობები, ამ უფლების უსაფრთხო და გამართული რეალიზაციისათვის."[31] სახელმწიფოს არ ძალუძს მიანიჭოს ან წაართვას ადამიანს ძირითადი უფლებები რადგანაც ის არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ადამიანის არსი. შედეგად, კონსტიტუციები ემყარებიან ადამიანის უფლებებს და არა აპირიქით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დადგენილია თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვითაც, „ყოველი ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით."[32] კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისთვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[33]

---

[31] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/682 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", I, 9.

[32] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 1.

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ხსენებული მუხლის არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტული პირის უნარებზე. უნარების სახელმწიფოს ძალისხმევით გათანაბრების მცდელობა კი, უმეტესწილად, თავად იწვევს დისკრიმინაციას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის „ანალოგიური, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით.[34] თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში... დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით.[35] დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზ-

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N2/1-392 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2.

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 4.

ნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.[36]

ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, დავის გადასაწყვეტად, უნდა დაადგინოს, რამდენად გამართლებულია თანასწორი პირების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა. სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრს, რომელიც მიემართება პირთა განუსაზღვრელ წრეს. ამიტომაც, კონსტიტუციის მე-11 მუხლზე მსჯელობისას, პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში.

და ბოლოს, ადამიანის ძირითადი უფლებების საფუძველი ბუნებითი სამართალია. ცნება „ძირითადი უფლებები“ არის უძველესი, ურთულესი და უმნიშვნელოვანესი. მართებულად მიუთითებდა ჯონ ლოკი, რომ ძირითადი უფლებები „ადრესახელმწიფოებრივი უფლებებია“, ამიტომ სახელმწიფოს არ აქვს ადამიანებისთვის მათი მინიჭების ან ჩამორთმევის უფლება, რადგან ეს უფლებები „ბუნების კანონიდან“ გამომდინარეობს, რომ ყოველ ადამიანს თავისი გონების მეშვეობით შეუძლია "ბუნების კანონების" შეცნობა.[37] თავისუფლება არის თავისთავადი ღირებულება. ყველა ადამიანს თავისუფლება ბუნებრივად გააჩნია. ამავდროულად, ყველა მათგანს გააჩნია მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად ისინი თავისუფლად და დამოუკიდებლად იბრძვიან. თუმცა პრობლემა ჩნდება იქ, სადაც ინდივიდთა ინტერესები ერთმანეთს ეწი-

---

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.

[37] გალდავა ლ., ადამიანის ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები – სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტი, წიგნში: გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2016, 6.

ნააღმდეგება, მათი თავისუფლების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები კი ერთმანეთს გზაზე ეღობება. გარდა ცალკეულ პირთა ინტერესებისა, საზოგადოებაში არსებობს ისეთი ცნებაც, როგორიცაა საერთო კეთილდღეობა და ხშირად, ადამიანის მოქმედებები საერთო კეთილდღეობის იდეას ეწინააღმდეგება. პიროვნების მოთხოვნილება შეიძლება მას უბიძგებდეს ისეთი ქმედებისკენ, რომელიც სხვისი თავისუფლების სფეროში იჭრება და ლახავს მას. საერთო კეთილდღეობა შეიძლება განვმარტოთ როგორც საზოგადოებაში ისეთი ზოგადი პირობების არსებობა, რომელიც ყველა მისი წევრისათვის თანაბრად სასარგებლოა. საერთო კეთილდღეობის არსებობისათვის აუცილებელია, რომ ამ პირობათა განსახორციელებლად არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი და სოციალური ინსტიტუტები. ლოგიკური იქნებოდა, რომ ყველა ინდივიდი აღიარებდეს ამგვარი სისტემის არსებობას, რადგან ამ პირობების არსებობით ისინიც მიიღებენ სარგებელს, თუმცა ეს ასე არ არის და საერთო კეთილდღეობის იდეა ხშირად იწვევს დავას. სამართლებრივი სისტემის ფორმირების პროცესში, პიროვნების თავისუფლება უნდა განვიხილოთ ინდივიდის იარაღად, რომელიც ეხმარება მას სრულყოს საკუთარი თავი, სრულყოფილ ადამიანში კი იგულისხმება არსება, რომელიც არის გამჭრიახი, შეუძლია სწორი გადაწყვეტილებების მიღება. მისი მამოძრავებელი უნდა იყოს „საკუთარი ინტერესი, სწორად გაგებული“ და ინტერესის სწორად გაგება გულისხმობს, რომ მისი გააზრება არ უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესებისაგან მოწყვეტილად.[38]

თანამედროვე პოლიტიკაში თავისუფლება მიჩნეულია, როგორც საზოგადოებაში კონტროლისა ან რეპრესიული შეზღუდვების გარეშე ცხოვრება – შეზღუდვების, რომლებიც ხელისუფლებამ დაადგინა ცხოვრების წესზე, ქცევასა და პოლიტიკურ შეხედულებებზე.[39] პიროვნული თავისუფლება გულისხმობს თავისუფლების პასუხისმგებლობით გამოყენებას კანონის უზენაესობის შესაბამისად, სხვისი თავისუფლების შეზღუდვის გარეშე. თავისუფლე-

[38] <http://www.freeuni.edu.ge/ge/nomos/2656> [15.08.2021]
[39] <ibit.ly/qI9P> [15.08.2021]

ბის ზოგადი გაგება უფრო ფართოა იმით, რომ იგი საკუთარ თავში მოიცავს თავშეკავების არსებობას და სურვილების ასრულების შეუზღუდავ შესაძლებლობასაც.

მიმაჩნია, რომ ზემოთ განხილული ოთხი უფლება (ღირსების უფლება, სიცოცხლის უფლება, ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა) წარმოადგენს ყველა სხვა უფლების ფუნდამენტს. ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით მოაზრებული ყველა ის უფლება, რომელიც მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან, რაც მათ კონსტიტუციურ გადაწყვეტად, ერთგვარ მოწესრიგებად მიიჩნევა, ერთგვარად ავსებს ჩემ მიერ შემოთავაზებულ თეზას, თუ რა თქმა უნდა ხსენებული მე-4 მუხლი ტრანსფორმირდება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში, სადაც რეალურად იყო და უნდა იყოს ასახული. ხოლო სხვა უფლებებმა, როგორიცაა ინტერნეტის თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობის უფლება, საკუთრების უფლება და სხვ. აღნიშნული უფლება-თავისუფლებები ჯერ ისედაც გამომდინარეობს განხილული ოთხი უფლებიდან, შემდეგ კი, შესაძლებელია მათი განმტკიცება საკანონმდებლო აქტებში.

დასკვნა

ადამიანის ძირითად უფლებებს საფუძვლად უდევს ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის ცნებები, რადგან უფლებები განაპირობებს თითოეული ადამიანის ღირსეულ არსებობას. როგორც ღირსებისა და თანასწორობის ცნებები, ადამიანის უფლებებიც, სხვა კატეგორიის უფლებებისაგან განსხვავებით, მარადიული, საყოველთაო და განუყოფელია. ადამიანის უფლებები მარადიულია რადგან ისინი არ შექმნილა კონკრეტული ადამიანების ერთი რომელიმე ჯგუფის სასარგებლოდ, არამედ არასებობს ყველა ადამიანისთვის, პიროვნულობასა და ადამიანობას უკავშირდება. ადამიანის უფლებები საყოველთაოა, რადგან ისინი ერთნაირად ეკუთვნის ყველა ადამიანს, მისი წარმომავლობის, საცხოვრებელი ადგილისა თუ ნებისმიერი სხვა მახასიათებლისაგან განურჩევლად. ადამიანის უფლებები განუყოფელია, რადგან ისინი ერთობლიობაში

განიხილება. არცერთი უფლება მეორეზე უპირატესი არ არის. ადამიანის უფლებები გამოხატავს იმ ძირითად პრინციპებსა და ნორმებს, რომელზეც შეთანხმებულია საერთაშორისო ცივილიზაცია.

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის არქიტექტონიკას ადამიანის უფლებებთან მიმართებით, აღნიშნული საკონსტიტუციო გემოვნების საკითხია. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის ავტორთა და მის ინტერპრეტატორთა მთავარ გამოწვევას წარმოადგენს თითოეული ადამიანისთვის თავისუფლების ყველაზე თავისუფალი და თამამი მასშტაბების შეთავაზება. საინტერესოა კონსტიტუციის დიაპაზონზე საუბარი და უდავოდ უნდა აღვნიშნო, რომ დაუშვებელია, ფუნდამენტური უფლებების მარეგულირებელი კონსტიტუციის დებულებები იყოს ხელისუფლების მხოლოდ პოლიტიკური გემოვნების ან ცალკეულ პოლიტიკოსთა ამბიციების დაკმაყოფილების შიშველი სამიზნე.

ფუნდამენტური უფლებების შეძლებისდაგვარად სრული ხელმისაწვდომობის მისაღწევად, უშუალო წყარო და ეფექტური გზა სასამართლო ხელისუფლებაა. უფლებები პრაქტიკულ, ფაქტობრივ შინაარსს, უმეტესწილად, სწორედ მართლმსაჯულების პროდუქტებით იძენს. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი, მისი კომპეტენციიდან გამომდინარე, აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. ეს უკანასკნელი კი, ერთის მხრივ, აღიარებს, რომ ადამიანის უფლებები ადამიანისგან განუყოფელია, ის მისი არსის განმსაზღვრელი უფლებებია და თან დაჰყვება ადამიანს, მეორე მხრივ კი, ავითარებს იმ აზრს, რომ კონსტიტუცია ადგენს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.[40]

თუმცა, არამეორეხარისხოვანი როლის შესრულება შეუძლია საერთო სასამართლოების მზაობას, როგორც დამოუკიდებლად, უშუალოდ, ისე საკონსტიტუციო სასამართლოსთან კანონმდებლობით გათვალისწინებული კოორდინაციის გზით, კონსტიტუციის ტექსტის ადეკვატური ინტერპრეტაციით, მართლმსაჯულების შედეგები ადამიანის ძირითადი უფლებების საუკეთესო პერსპექ-

[40] ზოიძე ბ., ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N5, 2012, 140.

ტივით დაცულობას დააფუძნონ და სწორედ ასე სასამართლო საიმედო ინსტრუმენტად, ხოლო კონსტიტუცია – პრაგმატულ დოკუმენტად აქციონ.

დაუშვებელია ყოველი ხელისუფლების ცვლილებას საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა მოსდევდეს, სწორედ ამ საფუძვლით მიმაჩნია, რომ ძირითადმა ნორმებმა ადგილი უნდა დაიკავოს საქართველოს კონსტიტუციაში, ხოლო „ნორმა სადღეგრძელოებმა“ უნდა გადაინაცვლოს სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში. რა თქმა უნდა, მოცემულ შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ ერთი უფლება მეორე უფლების მატარებელია, არამედ გამომდინარეობს ამ უფლებებიდან, ხოლო, სასამართლოებს (როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აგრეთვე, საერთო სასამართლოებს) უნდა მიეცეთ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. მართალია, ეს უზარმაზარი ტვირთი იქნება სასამართლო სისტემისადმი, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ტვირთის აწევა მათ ძალუძთ, ვინაიდან, მოსამართლეებმა უნდა გაარღვიონ თავისუფლების მოპოვების და ღირსების დასაცავად შესაბამისი სივრცე, რადგან მათ აქვთ იშვიათი შესაძლებლობა, დააბალანსონ პოლიტიკოსების ამპარტავების შედეგად კონსტიტუციისადმი უხეში დამოკიდებულების მახინჯი შედეგები.